ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 26 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ № 97 (16834) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ. 1977

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲭᲔᲚᲐᲕᲘ ᲜᲐᲬᲘ ᲛᲐᲚᲠᲐᲫᲔ. ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲕᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘᲐ. ᲛᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ 147,1 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲧᲘᲡᲠᲐ 1977 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲛᲮᲒᲑᲣᲫᲐ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲗ — Ნ. ᲛᲐᲚᲠᲐᲫᲔᲡ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ) ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗ ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡ Კ. ᲩᲘᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲝᲜᲣᲤᲠᲘ Ც. ᲑᲣᲚᲐᲫᲘᲡ.

ᲔᲗᲘᲗᲐᲑᲘᲡᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲐ ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔ ᲩᲘᲮᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ „I ᲛᲐᲘᲡᲘ“ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲢᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘ Გ. ᲭᲘᲚᲚᲐᲫᲔ. ᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲗ: Ⲗ. ᲒᲝᲒᲝᲮᲘᲐᲡ ᲓᲐ Ⲁ. ᲛᲐᲭᲐᲛᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.



ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲝ! ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲗ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ! ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲢᲙᲘᲪᲔᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲒᲛᲝ, ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ! ᲧᲐᲘᲠᲐᲗᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ, ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲗᲔᲗ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ, ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲪᲐᲪᲠ ᲛᲝᲛᲐᲕᲘᲠᲜᲝᲛᲔᲑᲐᲡ!

ᲡᲙᲙᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲗᲕᲚᲛᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲚᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲨᲐᲚᲔᲡᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲐᲑᲠᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲗ 1977 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲨᲐᲚᲔᲡᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲐᲑᲠᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲘᲦ�წᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ. ᲛᲝᲗᲐᲛᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲛᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲐᲠᲪᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲬᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

	1977 ᲬᲚᲘᲡ I ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ	1977 ᲬᲚᲘᲡ I ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘ 1976 ᲬᲚᲘᲡ I ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ	
	ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ	ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ	ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ
ᲮᲔ-ᲢᲧᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲘᲚᲔᲣᲚᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ	101	107	104
ᲡᲐᲨᲔᲜ ᲛᲐᲡᲚᲐᲗᲐ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ	106	102	102
ᲛᲨᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ	102	104	102
ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ	103	108	106
ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲫᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ	109	97	96
ᲓᲐᲛᲘᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ	108	109	105
ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ	100,4	110	105
ᲡᲐᲡᲬᲐᲤᲚᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ	95	125	111
ᲐᲓᲒᲘᲚᲛᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ	104	112	108

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ, ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲒᲕᲠᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ:

	1977 ᲬᲚᲘᲡ I ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ	1977 ᲬᲚᲘᲡ I ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘ 1976 ᲬᲚᲘᲡ I ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ	
	ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ	ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ	ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ
ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	493	102	
ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲓᲐᲜᲘ — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	465	105	
ᲗᲣᲯᲘ — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	199	100,9	
ᲤᲝᲚᲐᲓᲘ — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	371	99,96	
ᲨᲐᲕᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲒᲚᲘᲜᲘ — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	934	99,4	
ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲛᲨᲐ ᲜᲐᲒᲚᲘᲜᲘ	322	100,1	
ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲚᲔᲑᲘ:			
ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲘ	7,1	99,97	
ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	132	99,7	
ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲘ (ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲔᲑᲐᲓ) — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	193	117	
ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲑᲝᲭᲙᲝ — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	4,0	121	
ᲪᲕᲚᲐᲓᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲠᲐᲪᲕᲔᲑᲘ — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲙᲘᲚᲝᲕᲐᲢᲘ	21,2	131	
ᲚᲘᲗᲝᲜᲡᲐᲛᲠᲔᲚᲘ ᲩᲐᲠᲮᲔᲑᲘ:			
ᲪᲐᲚᲘ	1001	99	
ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲐᲡ	8,3	111	
ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲝ ᲔᲚᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘ:			
ᲪᲐᲚᲘ	32	110	
ᲐᲗᲐᲡᲘ ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ	227	110	
ᲡᲐᲢᲠᲘᲠᲗᲝ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ — ᲪᲐᲚᲘ	5245	105	
ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ — ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲐᲡ	5,1	106	
ᲭᲐᲠᲚᲘᲡᲢᲝᲜᲘ — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	8,3	131	
ᲐᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ ᲠᲙᲘᲜᲐᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ (ᲡᲐᲣᲙᲚᲝᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ) — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲙᲣᲑᲝᲠᲘ ᲛᲔᲢᲠᲘ	331	131	
ᲨᲘᲤᲔᲠᲘ — ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲤᲘᲚᲐ	17,4	102	
ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘ — ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲘ	27,5	102	
ᲑᲐᲛᲑᲔᲣᲚᲘᲡ	14,7	102	
ᲨᲐᲚᲘᲡ	2	103	
ᲐᲑᲠᲨᲣᲛᲘᲡ	10,8	100,8	
ᲬᲘᲜᲓᲘᲔᲑᲘ — ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ	5,2	81	
ᲢᲠᲘᲙᲝᲢᲐᲟᲘᲡ ᲡᲐᲪᲕᲐᲚᲘ — ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲮᲔᲚᲘ	5,6	106	
ᲖᲔᲓᲐ ᲢᲠᲘᲙᲝᲢᲐᲟᲘ — ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲮᲔᲚᲘ	3,5	102	
ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲥᲣᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ — ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ	3,8	107	
ᲮᲝᲠᲪᲘ (ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲓᲐᲜ) — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	15,0	99	
ᲫᲠᲘᲜᲯᲘᲡᲣᲚᲘ — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	6,2	95	
ᲥᲣᲗᲘᲛᲐᲜᲘ ᲧᲐᲚᲘ (ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲓᲐᲜ) — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	3,7	106	
ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ (ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ) — ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲥᲘᲚᲐ	50,3	122	
ᲛᲪᲕᲐᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲖᲗᲘᲗ (ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲓᲐᲜ)—ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	1,7	126	
ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲠᲛᲝ — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	7,6	108	
ᲙᲐᲠᲑᲘ (ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲓᲐᲜ) — ᲢᲝᲜᲐ	243	108	
ᲛᲝᲣᲠᲔᲓᲘᲚᲘ ᲠᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲠᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲗ (ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲓᲐᲜ) — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	39,2	106	
ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲤᲐᲡᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲐᲮ — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ	9,8	107	
ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ—ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ 0,5 ᲚᲘᲢᲠᲘ	115	110	
ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ (ᲙᲝᲛᲡᲝᲛᲝᲚᲔᲑᲝᲑᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲨᲘᲜᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ) — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲘᲐᲚᲘᲢᲠᲘ	4357	109	
ᲨᲐᲛᲞᲐᲜᲘᲣᲠᲘ — ᲐᲗᲐᲡᲘ ᲑᲝᲗᲚᲘ	4230	112	
ᲞᲐᲞᲘᲠᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲘ�გᲐᲠᲔᲢᲘ — ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲪᲐᲚᲘ	4,9	106	
ᲐᲕᲘᲯᲘ — ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲐᲡ	17,2	105	

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ, ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲠᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲒᲕᲠᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ:

	1977 ᲬᲚᲘᲡ I ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ	1977 ᲬᲚᲘᲡ I ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘ 1976 ᲬᲚᲘᲡ I ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ	
	ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ	ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ	ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠ�გᲘᲐ (ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲠᲬᲚᲘᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘ)—ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲙᲘᲚᲝᲕᲐᲢᲡᲐᲐᲗᲘ	3060	94	

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

24-25 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖ

ზეპირი აგიტაცია კვლავინდებურად პარტიული საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი სფეროა, მასთან პარტიის მუდმივი კავშირის, პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მათი შეკავშირების ერთ-ერთი აქტიური ფორმაა, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ძმედითი ინსტრუმენტია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის როლის გაზრდის შესახებ“.

პარტიული ცხოვრება

ᲛᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ

ᲖᲔᲞᲘᲠᲘ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲙᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲘ

ᲐᲘ მდიდარი რევოლუციური ტრადიციების მქონე უძველესი საწარმო —თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა... შეიხედართ მის ტერიტორიაზე და აქ ყველაფერი — ეზოში ლამაზი სტენდები, ტრანსპარანტები, საამქროები, თვითეული დაზგადანადგარი მკაფიოდ მეტყველებს მის დიდ წარსულზე და ყველაფერი ეს თავისთავად არის აღზრდის შესანიშნავი სკოლა.

მაგრამ ჩვენ როდი გვინდა მოგითხროთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქარხანა-მუზეუმზე, სადაც კედლებიც კი ღაღადებენ მის სასახელო ისტორიას. ამჯერად გვსურს გისაუბროთ მრავალათასიანი კოლექტივის ერთ-ერთ წევრზე, ინჟინერ-ტექნიკოსზე, ზნეობრივი აღზრდის საჭირბოროტო პრობლემებს. იგი ოდიტორიის აქტიური მონაწილეობით აღნიშნავს არსებული ნაკლოვანებებს და უჩვენებს კიდეც მათი აღმოფხვრის საშუალებებს.

გ. კაჭკაჭიშვილი გრძნობს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რასაც მას ეს საპატიო მოვალეობა აკისრებს. ჯერ კიდევ 1960 წლის 3 აგვისტოს გაზეთ „პრავდაში“ იგი წერდა: „პარტიული პროპაგანდისტის მუშაობა მეტად კეთილშობილური და საპატიო საქმეა. პარტიამ მოგვანდო ჩვენ, რომ შეიტანოთ მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები და ჩვენც, პროპაგანდისტები, ვამაყობთ ამით. პროპაგანდას ვუწევთ რა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს, ამით ჩვენ ვეწევით მშვიდობის, ხალხთა მეგობრობის, მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების პროპაგანდას“.

მას შემდეგ ამ დაუცხრომელმა პროპაგანდისტმა არამც თუ შეიტანა ცოცხალი, ზეპირი საგიტაციო მოღვაწეობა, არამედ, ეყრდნობოდა რა პარტიის მიერ შემუშავებულ ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის მდიდარ ტრადიციებს, პროპაგანდისტული მუშაობის სულ უფრო ეფექტიან ფორმებსა და მეთოდებს იყენებდა თავის საქმიანობაში, პირადი მაგალითით იძლეოდა იმის ნიმუშს, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე პროპაგანდისტი, ყოველდღიურად როგორ უნდა იმაღლებდეს იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს, ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის რა უახლესი და ეფექტიანი ფორმა საჭირო დღეს.

მისი ინიციატივით ქარხანაში წლების განმავლობაში სისტემატურად იმართება კითხვა-პასუხის საღამოები, ლიტერატურული დილები, შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებთან, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებთან, გმირებთან, გამოჩენილ ადამიანებთან, ვითარდება ურთიერთობა სამეცნიერო დაწესებულებებთან, საშფო სოფლებთან და საწარმოების კოლექტივებთან. გამოდის ქარხნის ერთიერთული ორგანო „ელვა“ და „საბრძოლო განგაში“, პარტიული და კომეაშირული ორგანიზაციებთან იქმნება პოლიტინფორმატორთა ჯგუფები. ჩვენს ქვეყანასა და რესპუბლიკაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით სისტემატურად იმართება მიტინგები და სხვ.

გ. კაჭკაჭიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოციალისტური შეჯიბრების — საწარმოს კოლექტივის შემდგომი წარმატებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობის უფრო თართოდ გაშლას. მისი აქტიური მონაწილეობით ქარხნის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის წევრთა ჯგუფმა ახალი ფორმით განადგა სოციალისტური შეჯიბრება დეკემბერ: „თვითეულმა ინჟინერმა და ტექნიკოსმა საწარმოში უნდა დანერგოს ისეთი რაციონალიზატორული წინადადება, რომლის წლიური ეფექტიანობა გაუთოლდება ან გადააჭარბებს ᲛᲐᲚᲐᲚᲘ შრომითი ენთუზიაზმია აკარის საწარმოებში. ეს გამოწვეულია იმით, რომ 1976 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის ავტონომიურმა რესპუბლიკამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

აკარის მრეწველობის მუშაკთა წარმატებებში მნიშვნელოვანია ბათუმის ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხნის წვლილი. ჩვენ ტრადიციად მოგვდგამს სახელმწიფო გეგმების ვადამდე დიდი გადაჭარბებით შესრულება.

დიდმა ჯილდომ აკარის მრეწველობის მუშაკთა, მათითან ერთად ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივის ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. **შედეგმაც არ დააყოვნა: საერთო პროდუქციის ორი თვის გეგმა 101,6 პროცენტით შეასრულეთ, რეალიზაციისა 102,9 პროცენტით. გეგმის გადამეტებით წარმოებულია ათასობით მანეთის პროდუქცია,** მათ შორის ბენზინი, დიზელის ზეთი, მაზუთი, ნავთობბიტუმი.

ფართოდ ფეხს ეკიდება სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მერე წლისთავის აღსანიშნავად. სიიუბილეო წელს მიღწეული პირველი მეტად მნიშვნელოვანი საწარმოო წარმატება. **ქარხნის კოლექტივის მიერ იანვარსა და თებერვალში გამოშვებული მთელი პროდუქციის 45 პროცენტი ხარისხის სახელმწიფო ნიშნით აღინიშნა.**

ჯერ კიდევ 1976 წლის ნოემბერში ხარისხისნიშნიანმა პროდუქციამ ჩვენს ქარხანაში წარმოების საერთო მოცულობის 29 პროცენტი შეადგინა. საპატიო ხუთკუთხედით აღინიშნა ისეთი ნავთობპროდუქტები, როგორიც არის დიზელის სათბობი და საგზაო ბიტუმი.

ახლა ხარისხის ნიშანი მიენიჭა საწვავ მაზუთს. ამრიგად, ჩვენი პროდუქციის უკვე სამ სახეობას მინიჭებული აქვს ხარისხის უმაღლესი შეფასება. წლეულს ეფექტრობთ ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვება 56 პროცენტამდე გავზარდოთ. პირველი წარდგენისთანავე უმაღლესი ხარისხის ნავთობპროდუქტების ჩაბარება კი უკვე 97 პროცენტამდე გაიზარდა.

მენავთობეთა შეჯიბრების ავანგარდში არიან პირველი და მეორე საამქროების, 65-ე დანადგარის კოლექტივები. მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითს ეძლევენ უფროსი ოპერატორები საყვარელიძის, თ. წულაძის, ე. ბუხოვის, ი. სოლოდანკინის, ვ. აბურჯანიასა და სხვების ცვლები.

კოლექტივის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია წარმოების მოცულობის გადიდების დამატებითი რეზერვების გამოვლენა. ქარხნის რეკონსტრუქციი, რომელიც მეათე ხუთწლეულში განხორციელდება, შესაძლებლობას მოგვცემს გავადიდოთ ნავთობის გადამუშავების მოცულობა, მთლიანი პროდუქციის გამოშვება. **წარმოებაში დამატებითი ტექნიკური ღონისძიებების დანერგვის გზით მარტო 1977 წელს გამოვუშვებთ მილიონობით მანეთის ზეგეგმით პროდუქციას.**

როგორც ცნობილია, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა იანვარში გამოვიდა ახალი ინიციატივით, რომ გასწიოს საწვავისა და ელექტრენერგიის მაქსიმალური ეკონომია, იშრომოს [illegible] ამ [illegible] დიდი წარმატება მოიპოვა.

[illegible] საკავშირო [illegible] ბათუმისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ვარდამავალი წითელი დროშის გადაცემის გამო ჩვენი ქარხნის მშრომელებმა გადაწყვიტეს მნიშვნელოვნად აამაღლონ შრომის კულტურა, აამოქმედონ ყველა რეზერვი, რათა ახალი შრომითი გამარჯვებებით შეეხვედეთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს.

ე. გვენცაძე,
ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი.

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

ᲙᲘᲠᲝᲒᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ

□

130.000 ᲢᲝᲜᲐ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲘᲣᲚᲕᲔ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲐᲓ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲒᲕᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ შაქრის ჭარხლის „მთები“, შარშან შემოდგომაზე ქარელში რომ ვნახეთ. დამზადების პუნქტში თითქმის ადგილი აღარ იყო, ტრანსპორტიორ დატვირთულ ავტომანქანებს კი ბოლო მაინც არ უჩანდა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ ძარღვის ჭრიალით.

რუსეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მესამე აგროუბნის მეთორმეტე ბრიგადის ბრიგადირი თემურ დადეშელი ჯან-ღონით სავსე ჭაბუკია. იგი მშვიდად, დამაჯერებლად გვესაუბრება და თან ხშირად თვალუწვდენელ მინდორს ეკაჭურებს.

— ჩემს ბრიგადაში წლეულს შაქრის ჭარხლის 13 ჰექტარზე მოვიყვანთ.

— შარშანდელ მოსავალზე რას იტყვით? — ვკითხეთ თემურს.

— თავი არ შეგვიცვლია, ჰექტარზე საშუალოდ 400 ცენტნერი მივიღეთ.

— მე უკეთესს გეტყვით, — საუბარში ჩაერთო ბრიგადის ბრიგადირი ტარიელ ბერეულაშვილი ჩაერია. — არსენ დადეშელმა ჰექტარზე საშუალოდ 750 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიწია.

— ერთი სტყვით, — ამბობს ისევ თემური, — რეზერვები არსებ მეტის მოიებაც შეიძლება.

ᲙᲘᲠᲝᲒᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ

□

ნავთობპროდუქტები, როგორიც არის დიზელის სათბობი და საგზაო ბიტუმი.

ახლა ხარისხის ნიშანი მიენიჭა საწვავ მაზუთს. ამრიგად, ჩვენი პროდუქციის უკვე სამ სახეობას მინიჭებული აქვს ხარისხის უმაღლესი შეფასება. წლეულს ეფექრობთ ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვება 56 პროცენტამდე გავზარდოთ. პირველი წარდგენისთანავე უმაღლესი ხარისხის ნავთობპროდუქტების ჩაბარება კი უკვე 97 პროცენტამდე გაიზარდა.

მენავთობეთა შეჯიბრების ავანგარდში არიან პირველი და მეორე საამქროების, 65-ე დანადგარის კოლექტივები. მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითს ეძლევენ უფროსი ოპერატორები საყვარელიძის, თ. წულაძის, ე. ბუხოვის, ი. სოლოდანკინის, ვ. აბურჯანიასა და სხვების ცვლები.

კოლექტივის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია წარმოების მოცულობის გადიდების დამატებითი რეზერვების გამოვლენა. ქარხნის რეკონსტრუქციი, რომელიც მეათე ხუთწლეულში განხორციელდება, შესაძლებლობას მოგვცემს გავადიდოთ ნავთობის გადამუშავების მოცულობა, მთლიანი პროდუქციის გამოშვება. **წარმოებაში დამატებითი ტექნიკური ღონისძიებების დანერგვის გზით მარტო 1977 წელს გამოვუშვებთ მილიონობით მანეთის ზეგეგმით პროდუქციას.**

როგორც ცნობილია, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარ-

ᲛᲔᲢᲘ ᲣᲤᲠᲐᲓᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲭᲐᲠᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲣᲠᲔᲑᲐᲡ

□

წყალი რომ სისტემატურად გვქონდეს, ჰექტარზე საშუალოდ 800 ცენტნერს მივიღებდით. ამ ნაკვეთებში მხოლოდ პირობითი სარწყავებია და ზოგჯერ წყალი არ გვაყოფნის. ლიახვი სწორედ მაშინ ირეს დამშრალი. შემოდგომით და გაზაფხულზე კი ვინ მოთვლის რამდენი კუბური მეტრი წყალი ტყუილად მიედინება.

ახლა ოკეანე გარკვევით მოჩანს ტრაქტორი „მელარუსი“. იგი მოულოდნელად გაჩერდა. თემურმა ხელი ჩაიქნია და უმაყოფილოდ თქვა:

—ისევ სასუქის გამოსათესის ღონძის კბილანდან ჭაკვი გადაარჩა! წარმომიდგენია, ახლა მეხელი როგორ ბურტყუნებს. ძალიან ნერვიულობს ხოლმე, როცა მუშაობის დროს ხელი ეშლება. კარგი მექანიზატორია. ამ მინდორს თითქმის ორი კილომეტრი სიგრძე აქვს. ძალიან რომ ბოინდოლოთ, კიბალს . გამრუდებულ ღერსად ნახავთ. ეს კი შემდომში კოლტეხიკიას აადგილებს და მეცნარეც არ ზიანდება.

— თქვენი შრომის ანაზღაურებაზე რას გვეტყვით? — შევეკითხეთ მექანიზატორ მიბეილ კუთხაშვილს.

— რა უნდა გითხრათ, თუ სიმართლეს ვეტყვი, ხელმძღვანელებს ეწყინებათ ხოლმე; მეუბნებიან, ცუდი კაცი ხარო. გამაგებინეთ, რატომ არ უნდა ვიცოდე, რამდენია თესვის ნორმა, რამდენი უნდა გადამიხადონ ნორმის შესრულებაზე ან გადაჭარბებაზე. ან შრომის ხარისხს რატომ ყურადღება არ ეძლევა? 37 წლის კაცი ვარ და 23 წელია ტრაქტორზე ვმუშაობ. მაშ მე და ახალბედა მექანიზატორი სამუშაოს ერთნაირი ხარისხით შეგასრულებდა? სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ დრო არ ითმენს. — თქვა მექანიზატორმა და ტატრალდა. მარჯვედ დასძრა „ბელარუსი“, თან 12 მწკრივიანი სათესი აპარატი ეკიდა.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

□

— ეს ოცდაათ ოთხმოცდაათ ცენტნერ ბარაქიანი ბეღელია. ეს ბეღელი ჩემ ოჯახს ეკუთვნის. ეს ბეღელი ჩემ ოჯახს ეკუთვნის. ეს ბეღელი ჩემ ოჯახს ეკუთვნის

ფაქტები, პროგლემები

მსოფლიოს ამბები

საკდესის კორესპონდენტები და უცხოეთის პრესის საგანგებო მიმოხილვა

უფრო სრულად გამოვიყენოთ სუქების შესაძლებლობანი

ქოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავი დღეს ხორცის წარმოების მნიშვნელოვანი და სწრაფი გადიდებაა. „ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, — თქვა სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ხორცისა და მისი პროდუქტების წარმოების გადიდებას, და მაშასადამე — მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას. უეჭველია, რომ ჩვენ ამ საკითხს გადავწყვეტთ. მაგრამ, თავადაოავი ის არის, რომ იგი რაც შეიძლება მალე გადავწყვეტოთ“.

ამ ამოცანის შესრულების გზები ცნობილია. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის სუქების ინტენსიფიკაცია. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ დახაკლავად არ იგზავნებოდეს არც ერთი მჭლე, მცირე წონის პირუტყვი. ამასთან მთელ რიგ ადგილებში კომბინატები ჯერ კიდევ არასტანდარტულ პირუტყვს იღებენ. თუ რამდენად დიდია ამის შედეგად დანაკარგები, ამას ასეთი გაანგარიშება მოწმობს: იმის გამო, რომ ამბარებენ არა სრული წონის მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, ღორსა და ცხვარს, რესპუბლიკას შარშან დაკლდა 6 230 ტონა ხორცი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს იმ მუშაობის მდგომარეობას, რომელსაც კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათშორისო ორგანიზაციებში ახორციელებენ პირუტყვის გასასუქებლად მიმდინარე წლის პირველ კვარტალში.

(კილოგრამობით)

რაიონები, ქალაქები, ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქი	საშუალო ჩასაბარებელი წონა და დავალება: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი		ღორი	
	დავალება	ფაქტიური	დავალება	ფაქტიური
ახალქალაქის	330	290	110	81
გოგდანოვკის	340	293	—	—
ახალციხის	290	248	116	117
ადიგენის	270	232	110	99
ასპინძის	260	237	—	—
ხაშურის	320	247	110	90
ქარელის	280	207	105	104
გორის	300	284	110	92
კასპის	290	238	115	93
ბორჯომის	290	240	100	70
საგარეჯოს	290	239	115	95
გურჯაანის	340	291	105	97
სიღნაღის	300	293	110	109
წითელწყაროს	330	315	110	101
თელავის	290	271	100	85
ახმეტის	290	253	95	88
ქვარლის	310	285	95	78
ლაგოდეხის	300	266	100	89
გარდაბნის	330	270	110	97
მცხეთის	300	307	110	106
მარნეულის	340	290	100	95
გოლენისის	300	275	90	79
წალკის	300	246	100	96
დუშეთის	260	203	90	68
თეთრი წყაროს	310	254	100	85
დმანისის	320	275	105	—
თიანეთის	260	199	90	80
სამხრეთ ოსეთის აო	270	220	90	66
ქ. წყალტუბო	280	221	105	71
სამტრედიის	300	273	95	107
წულუკიძის	270	239	110	98
ვანის	280	231	100	94
მაიაკოვსკის	270	208	100	79
ზესტაფონის	270	202	100	92
თერჯოლის	260	206	100	81
ქ. მიათურა	269	205	95	74
საჩხერის	250	220	90	91
ორჯონიკიძის	250	209	100	91
ქ. ტყიბული	260	193	90	101
ონის	270	215	90	81
ამბროლაურის	270	204	85	81
ცაგერის	270	211	85	80
ლენტეხის	250	209	80	58
აბაშის	288	256	100	92
ცხაკაიას	290	233	100	80
გეგეჭკორის	280	241	95	85
ზუგდიდის	310	309	95	78
ხობის	280	192	95	76
წალენჯიხის	290	261	115	83
ჩხოროწყუს	280	243	90	73
მახარაძის	290	239	105	91
ლანჩხუთის	280	237	90	66
ჩოხატაურის	360	178	90	73
მესტიის	280	243	—	—
აფხაზეთის ასსრ	280	233	100	107
აჭარის ასსრ	250	180	110	94
სულ:	283,5	249	100,2	90

ანგმარტავთ, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში პირუტყვისა და ღორის სუქებისათვის მუშაობაში ფერმების მშრომელები ხელმძღვანელობდნენ საშუალო ჩასაბარებელი წონის იმ დებულებებით, რომლებიც მოცემული იყო 1976 წლის მეორე ნახევრისათვის. საშუალოდ რესპუბლიკაში ისინი ითვალისწინებდნენ 250 კილოგრამი წონის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჩაბარებას, ხოლო ღორისას — 91 კილოგრამს. როგორც ვხედავთ პირველ კვარტალში რესპუბლიკის მეურნეობების მიერ რეალიზებული პირუტყვისა და ღორის საშუალო ჩასაბარებელი წონა დავალებაზე კილოგრამით ნაკლები გამოდგა.

საშუალო ჩასაბარებელი წონის დავალების ცხრილში მოყვანილი ციფრები დადგენილია 1977 წლისათვის. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხორცკომბინატებსა და მიმდებ პუნქტებს მითითება მიეცათ მეურნეობებისაგან არ მიიღონ წონითს კონდიციებზე ნაკლები პირუტყვი.

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემების ანალიზი მოწმობს, მარტო მცხეთის რაიონმა შეძლო შეესრულებინა დადგენილი დავალება, ჩააბარა 301 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, რომელთა საერთო ცოცხალი წონა 923 ცენტნერი იყო. დასახულ მიჯნას მჭიდროდ დაუახლოვდა ზუგდიდის რაიონი, რომლის მეურნეობებმა ჩააბარეს 399 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ამასთან პირუტყვის საშუალო წონა იყო 309 კილოგრამი დავალებით გათვალისწინებული 310 კილოგრამის ნაცვლად.

რამდენადმე მეტია რაიონები, რომლებმაც შეასრულეს ღორის საშუალო ჩასაბარებელი წონის დავალება. ამ რაიონებს შორისაა ახალციხის, სამტრედიის, ხაჩხერის რაიონები, ქალაქ ტყიბულის ზონა, აფხაზეთის ასსრ.

შეუწყარებლად მცირე წონის მსხვილფეხა რქიან პირუტყვს აბარებენ ქარელის, დუშეთის, თიანეთის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის, ამბროლაურის, ხობის, ჩოხატაურის რაიონებში ქალაქების ჭიათურისა და ტყიბულის ზონებში, აჭარის ასს რესპუბლიკაში. მცირე წონის ღორი მოდის უკარლის, ბოლნისის, დუშეთისა და სხვა რაიონებიდან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან.

როგორც ვხედავთ, პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო საწარმოების ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა, ფერმების ყველა მშრომელმა სერიოზულად და საფუძვლიანად უნდა იმუშაონ, რათა ჭარბი საკვების პირობებში მოაწყონ პირუტყვის მაღალეფექტიანი სუქება, უფრო სრულად გამოიყენონ ჩვენს რესპუბლიკაში ხორცის წარმოების მკვეთრი გადიდების არსებული შესაძლებლობანი. (საქინფორმი).

25 აპრილი

ა. ა. გრომიკო დელში

დელი, (საკდესი). დღეს ინდოეთის მთავრობის მოწვევით დელში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

აეროდრომზე ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა, ორმელმაც კარგად გაუძლო დროის გამოცდას, კვლავაც განუხრელად უნდა ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულების შესაბამისად ორი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის. საბჭოთა კავშირს, თქვა მან, განზრახული აქვს გაუხრელად შეუწყოს ამას ხელი. მე ვამბობ ამას საბჭოთა ხელმძღვანელობისა და პირადად ლ. ი. ბრეჟნევის სახელით. იმედი გვაქვს, რომ ასეთივე მისწრაფება ექნება ინდოეთის მხარესაც.

ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ბ. ვაჯპაიმ თავის მხრივ ხაზი გაუსვა, რომ ინდოეთისა და სსრ კავშირის მეგობრობა პრინციპულია, თვით ცხოვრებამ წარმოშვა და შეესაბამება ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძირეულ ინტერესებს. იგი ვითარდება და ჩვენი ორი ქვეყნის ინტერესებისათვის, თქვა მინისტრმა, კვლავაც უნდა განვამტკიცოთ ეს მეგობრობა.

დღეს ინდოეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ბ. დ. ჯატიმ მიიღო ა. ა. გრომიკო.

ბ. ა. ჯატისა და ა. ა. გრომიკოს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც განიხილეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე მთელი რიგი საკვანძო საერთაშორისო პრობლემები.

დღესვე დაიწყო მოლაპარაკება ა. ა. გრომიკოსა და ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ბ. ვაჯპაის შორის. მხარეთა შორის მიმდინარე საუბრების დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის ზოგიერთი პრინციპული საკითხი და სხვადასხვა დარგში მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთი აქტუალური საერთაშორისო პრობლემა. მოლაპარაკება კონსტრუქციულ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობს.

თათბირი თეთრ სახლში

ვაშინგტონი, (საკდესი). პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა თეთრ სახლში თათბირი გაბმართა მთავრობის მთელ რიგ ხელმძღვანელ ნოღაწეებთან. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, თათბირზე განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებასთან სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

თათბირში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი უ. მონდეილი, სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი, თავდაცვის მინისტრი გ. ბრაუნი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბეჟინსკი, განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს დირექტორი პ. უორნკე.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, თეთრ სახლში თათბირის შემდეგ ზ. ბეჟინსკისთან საუბრიდან „არ ჩანდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შეცვლის თავის პოზიციას“. ამერიკის წინადადებანი, რომლებიც სახელმწიფო მდივანმა ს. ვენსმა წამოაყენა მოსკოვში ვიზიტის დროს, როგორც იგი ამტკიცებდა, „საკმაო გასაქანს აძლევენ საბჭოთა კავშირს მოლაპარაკების მსვლელობაში შემდგომი განხილისათვის“.

როგორც ცნობილია, ამერიკის წინადადებანი საბჭოთა კავშირმა უარყო იმ მიზეზით, რომ ისინი რევიზიას უკეთებენ ვლადივოსტოკის 1974 წლის შეთანხმებას და ცალმხრივ უპირატესობებს ანიჭებენ შეერთებულ შტატებს.

ჰ. შმიდტის ინტერვიუ

ბონი. (საკდესი). ჰელსინკში სრულიად ევროპის თათბირის დროიდან ევროპაში მოხდა ცვლილებანი უკეთესობისაკენ, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაფართოვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სოციალისტური ჭეკოსლოვაკიის ეკონომიკური თანამშრომლობა, განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. შმიდტმა გაზეთ „ბერგენდორფერ ციტუნგენისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. ინტერვიუს ეს ტექსტი გაავრცელა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნთავრობასთან არსებულმა პრესისა და ინფორმაციის უწყებამ.

ჰელსინკის თათბირის შედეგები, აღნიშნავს ჰ. შმიდტი, ნიშნავს ევროპისძიებათა უმაღლეს წერტილს ევროპის დაძაბულობის შენელების დარგში. პირველად ევროპის ყველა სახელმწიფო, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მთავრობები, თვითნებობ. სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემისა და იდეოლოგიური უთანხმოების მიუხედავად, შეთანხმდნენ, რომ მომავალში მოაგვარონ კონფლიქტები არა სამხედრო ძალის საშუალებით. მათ მხარი დაუჭირეს თანამშრომლობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დარგებში.

ამრიგად, განაგრძობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი, „ცივი ომის“ ათწლეულების შემდეგ სამართლიანად მოგვეცა იმედი, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოები და ადამიანები, ბოლოსდაბოლოს, ხვდებიან, რომ უთანხმოება თანაარსებობამ უნდა შე

ქართული ჩაის კვირეული უკრაინაში

მეგობრობის ზეიმი



სურათებზე: კიეველი სტუდენტი ნ. სვიჩკოლაპი სვამს ქართულ ჩაის; კიევის № 1 გასტრონომის ერთ-ერთი კუთხე; კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სასადილოში მომდინარეობს ქართული ჩაის დეგუსტაცია და გაყიდვა-გამოფენა.

თ. შენგელიას ფოტო.

ქიევის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორან „დუბკიში“ საზეიმო ვითარებაში დამთავრდა ქართული ჩაის კვირეული, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის, რომ, როგორც კიევის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსმა **ბ. კროპივიანსკომ** გვითხრა, ამ დღეებში ქალაქის მაღაზიებში ბევრად მეტი ქართული ჩაი გაიყიდა, ვიდრე გასულ თვეში მთლიანად.

— ძალიან დიდი მადლობელი ვართ საერთოდ ქართველი მეჩაიეებისა, რომლებიც თავდადებული შრომით ქმნიან ამ ჩინებულ პროდუქციას, და აგრეთვე საქართველოს დელეგაციის წევრებსა, ასე ახლოს რომ გაგვაცნეს დიდებული ქართული ჩაი, მისი უნიკალური, სხვებისაგან აშკარად განსხვავებული თვისებები, — თქვა უკრაინის სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა **მ. სანოვმა.** სხვათაშორის, აღნიშნა მან, — ამ რამდენიმე წლის წინათ მოსკოველმა სოციოლოგებმა ერთი საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს — მოსკოვის ერთ-ერთ კაფეში ჩაის მოყვარულებს შესთავაზეს გაესინჯათ თითო ფინჯანი ინდური, ცეილონური, ქართული ჩაი და თხოვეს თვითეულზე გამოეთქვათ თავიანთი აზრი. გამოკითხულთა უმეტესობამ აღიარა ინდური ჩაის პრიორიტეტი. სიწამდვილეში კი სამივე ფინჯანში სამი სხვადასხვა უმაღლესი ხარისხის... ქართული ჩაი ესხა. ეს იმიტომ მოხდა, რომ საბჭოთა ადამიანები ჯერ კიდევ სრულად არ იცნობენ ქართულ ჩაის, მის ღირსებებს... ამიტომაც ძალიან კარგია, რომ საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები ჩვენი ქვეყნის ქალაქებში ატარებენ ქართული ჩაის კვირეულებს. ეს მეტად სასარგებლო და, ამავე დროს, საჭირო ღონისძიებაა. დიდი მადლობელი ვართ დიდებული ქართული ჩაისათვის...

ქართული ჩაის კვირეულის დროს კიეველები და მოძმე უკრაინის დედაქალაქის სტუმრები შეუნელებელ ინტერესს იჩენდნენ ქართული ჩაისადმი. ისინი ყველგან სიამოვნებით მიირთმევდნენ ამ მეტად სასარგებლო არომატულ სასმელს, დიდ მადლობას გვიხდიდნენ კვირეულის ჩატარებისათვის და გამოთქვამდნენ სურვილს, ეს კარგი ღონისძიება ტრადიციული გახდესო. კიდევ ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი: კიეველი ჩაის მოყვარულები, უკრაინის სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები მოითხოვენ, რომ საქართველოს ჩაის მრეწველობამ წლეულს თითქმის ერთიორად გაზარდოს ქართული ჩაით ამ რესპუბლიკის მომარაგება.

ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრს **რ. კონცელიძეს** ამ საკითხზე გამოეთქვა თავისი აზრი.

— მოძმე უკრაინაში, — თქვა რ. კონცელიძემ, — ქართული ჩაი მართლაც ძალიან უყვართ. მისი პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა ამ კვირეულის დღეებში. წლეულს საქართველოს ჩაის მრეწველობამ უკრაინის მშრომელებს 3.200 ტონა ქართული ბაიხაოს ჩაი უნდა მიაწოდოს, მაგრამ უკრაინის სსრ საავაჭრო და სხვა სათანადო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები გვთხოვენ, რომ არა თუ გაისად, არამედ წლეულსვე დამატებით 1.500 ტონა ბაიხაოს ჩაი გავუგზავნოთ უკრაინის მშრომელებს. როგორც მათ განაცხადეს, უახლოეს ხანებში ისინი ამავე თხოვნით მიმართავენ საქართველოს სსრ და საკავშირო ხელმძღვანელობას.

ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა, მაგრამ ამ მოთხოვნის შესრულება დარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ ახლა, როდესაც თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკა გვთხოვს რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გაიუგზავნოთ მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი, წლეულს უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის ზეგეგმითი 1.500 ტონა ჩაის გაგზავნა გაგვიძნელდება, თუმცა შეეცდებით დაკმაყოფილოთ მათი თხოვნა. ამის გარანტიას გვაძლევს ის, რომ ჩვენმა სასახელო მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს წლეულს მოკრეფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ სარეკორდო მოსავალი — 360-365 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი „მწვანე ოქრო“. ვიმედოვნებთ, რომ მოძმე უკრაინაში მათი ნახელაგის ესოდენ დიდი წარმატება ახალ ენერგიასა და ენთუზიაზმს შემატებს საქართველოს მეჩაიეებს, დიდად დაეხმარება მათ ამ სარეკორდო მიჯნის დალაშქვრაში. ეს თავის მხრივ საშუალებას მოგვცემს დავაკმაყოფილოთ უკრაინელი მეგობრების თხოვნა...

დიახ, ქართული ჩაის კვირეულმა კიევში დიდი წარმატებით ჩაიარა, რაც საქვეყნოდ სახელგანთქმული ქართული ჩაის კიდევ ერთი აღიარებაა, მაგრამ ძთავარი მაინც ის არის, რომ მოძმე უკრაინის დედაქალაქში ჩატარებული ეს კვირეული უდავოდ კიდევ უფრო განამტკიცებს ძმურ, მეგობრულ ურთიერთდამოკიდებულებას საქართველოსა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელებს შორის.

რ. რუსია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

1975 წლის 29 აგვისტოს ღამით ცენტრალურ რესპუბლიკურ სამგზავრო ავტოსადგურის ახალ შენობაში დ. გულიას ქ. № 1-ში ხანძარი გაჩნდა, რის შედეგადაც შენობის ნაწილი დაიწვა. ქალაქში მაშინვე გავრცელდა ხმა, ხანძრის გაჩენაში ბოროტმოქმედის ხელი ურევიაო. რამდენადაც ვიცით, ამ საქმის გამო გამოძიებაც მიმდინარეობდა. პროკურატურაში რამდენჯერმე გამოიძახეს და დაკითხეს ავტოსადგურის თანამშრომლები. ხანძრის შემთხვევიდან უკვე ორი წელი გადის, გამოძიების შედეგებზე კი ვერაფერი გავიგეთ — ზოგი რას ლაპარაკობს, ზოგი რას.

იქნებ რედაქცია დაგვეხმაროს და გაზეთის მეშვეობით გაგვიგებინოს სიმართლე.

ნ. აბუთიძე, ბ. მემარნიშვილი,
ლ. ოგანეზოვი, თ. მესხი,
გორგასლის ქუჩის მცხოვრებლები.

რედაქციამ ამგვარი შინაარსის კიდევ რამდენიმე შეკითხვა მიიღო. ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი დაუკავშირდა თბილისის კიროვის რაიონის პროკურორს ბ. კაპსაძეს. ქვემოთ ვაქვეყნებთ მის ნაამბობს.

1975 წლის 30 აგვისტოს, ხანძრის შემთხვევის მეორე დღესვე კიროვის რაიონის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც საფუძვლად დაედო შინაგან საქმეთა საგამომძიებო ქვეგანყოფილებიდან შემოსული მასალები.

შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი, რომელმაც ზედმიწევნით შეისწავლა და გამოიძია ხანძრის გაჩენის ყველა მიზეზი და გარემოება. როგორც გამოირკვა, ხანძარი გაჩნდა ავტოსადგურის მე-2 სართულზე საღამოხანს, დაახლოებით 21 საათსა და 20 წუთზე. ამ დროს სამსახურში იმყოფებოდნენ სადგურის უფროსი ა. ბურჭულაძე, პასუხისმგებელი მორიგე ზ. მაისურაძე, სადგურის სასტუმროს მორიგე ადმინისტრატორი დ. ხუგაშვილი, უფროსი დისპეტჩერი უ. წიკლაური, მორიგე დისპეტჩერი ი. მჭედლიშვილი, მორიგე მოლარე ინკასატორი ლ. დოლიძე, ღამის დარაჯი ა. დანელია, მილიციის პუნქტის მორიგე მილიციელი ი. ნინუა, აგრეთვე დამლაგებლები ნ. იზერიანი და ლ. სატოიანი.

სადგურში შემოღებული წესის მიხედვით დამლაგებლებს მიჩენილი ჰქონდათ თავთავიანთი დასასუფთავებელი უბნები. ამაში არ შედიოდა მეორე სართულზე განლაგებული სალაროები. მათ თვით მოლარეები ალაგებდნენ. მაგრამ ზზრიად საღამოს მომუშავე დამლაგებლები სალაროების იატაკსაც წმენდნენ და ასუფთავებდნენ, რისთვისაც მოლარეები სამუშაოს დამთავრების შემდეგ სალაროების კარებს ღიად ტოვებდნენ.

ასე მოხდა იმ დღესაც. დამლაგებლებმა მ. იზერიანმა და ლ. სატოიანმა, მიჩენილ უბნებზე რომ მოითავეს საქმე, სალაროების დასუფთავებას შეუდგნენ. ჩვეულებრივ იატაკს ისინი წყლით და ე. წ. „აინას“ ფხვნილით წმენდდნენ. მაგრამ სამი დღეა ავტოსადგურში წყლის მიწოდება შეწყვეტილი იყო და საქმის გაიოლების მიზნით დამლაგებლებმა გადაწყვიტეს იატაკის მოსაწმენდად ბენზინი გამოეყენებინათ.

იმ დღეს მორიგე მოლარე-ინკასატორად გამოყოფილი იყო ლ. დოლიძე. დღისით იგი ჩვეულებრივ მოლარის მოვალეობას ასრულებდა — ავტობუსის სამგზავრო ბილეთებს ჰყიდდა, ხოლო სამეშოს დამთავრების შემდეგ დანარჩენი მოლარეებისგანაც მიიღო შემოსული თანხა, დაამუშავა და მოამზადა ბანკში გასაგზავნად. ბანკის ინკასატორის მოლოდინში იგი №3 სალაროში იჯდა. ამიტომ დამლაგებლებმა ჯერ სხვა სალაროები დაასუფთავეს, ბოლოს კი, როცა ლ. დოლიძე თავის საქმეს მორჩა, ფულიანი ტომრით ხელში გარეთ გამოვიდა და ცნობათა ბიუროს ჯიხურთან ჩამოჯდა, დამძარი იმიტომ გაჩნდა, რომ იატაკის მოსაწმენდად გამოყენებულ ბენზინს ელექტროგაყვანილობის დაზიანებული ხაზიდან ელექტრონპერჭყალი მოხვდა.

ეს დადასტურებულია მოწმეების ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, საინჟინერო-ტექნიკური და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზების დასკვნებით და საქმის ყველა სხვა გარემოებით. ამიტომ 1976 წლის 30 ოქტომბერს კიროვის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა ნ. თევდორაშვილმა გამოიტანა დადგენილება ცენტრალურ რესპუბლიკურ სამგზავრო ავტოსადგურში ხანძრის გაჩენის ფაქტის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტილ შესახებ.

მართალია, სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტი არ დადასტურდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხანძარი სრულიად შემთხვევით და უმიზეზოდ გაჩნდა და ამაში არავის მიუღია ბრალი.

გამოძიებით დადგენილია, რომ ჯერ კიდევ 1964 წელს, როცა ავტოსადგურის მშენებლობის პროექტი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს წარუდგინეს, რათა იგი სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით განეხილათ, სამმართველომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს წერილობით აცნობა, რომ პროექტი შეთანხმებულად ჩაითვლებოდა იმ პირობით, თუ მასში დამატებით შეტანილი და გათვალისწინებული იქნებოდა კიდევ 7 დასახელების ხანძარსაწინააღმდეგო ობიექტებისა და საშუალებების მშენებლობა და დამონტაჟება. 1968 წელს სახანძრო დაცვის ინსპექციამ განგებებო წერილით სამინისტროს კვლავ შეახსენა, რომ აუცილებელია ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მშენებლობა. და მაინც ავტოსადგურში დღემდე ორი დასახელების ობიექტი აუშენებელია და, ამრიგად სახანძრო დაცვის სამმართველოს და ინსპექციის წერილობითი მოთხოვნები შეუსრულებელია.

ეს გარმობა, აგრეთვე არსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების უწესიერობა და მოუმზადებლობა იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ ხანძარი დაუყოვნებლივ ვერ ჩაქრეს (თუმცა იგი ავტოსადგურის თანამშრომლთა თვალწინ გაჩნდა და ესოდენ დიდი ზარალი განიცადა სახელმწიფომ).

ხანძრის გაჩენის უშუალო მიზეზზე კი ზემოთ მოგახსენეთ. ამაში, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, ბრალი ავტოსადგურის დირექციას მიუძღვის, რომელმაც საჭირო კონტროლი არ დაწესა და საშუალება მისცა დამლაგებლებს ხანძარსაშიში ნივთიერება—ბენზინი გამოეყენებინათ იატაკის მოსაწმენდად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტოსადგურის დირექტორმა ა. ბურჭულაძემ ხანძრის შემდეგაც დაწესებულების ხელმძღვანელისათვის შეუფერებელი უპასუხისმგებლობა გამოიჩინა და გამოძიებას ხანძრის გაჩენის ნამდვილი მიზეზი დაუმალა, ამან კი პროკურატურას ხელი შეუშალა დროზე მიეკვლია ჰეშმარიტებისათვის და გამოძიება ერთ წელზე მეტ ხანს გაჭიანურდა.

ყველა ის პირნი, რომელთა უპასუხისმგებლობის, დაუდევრობისა და გაუფრთხილებლობის გამო ხანძარი გაჩნდა, დაისაჯნენ ადმინისტრაციული წესით.

დაუდევრობას მოჰყვა ხანძარი

სტუმრად სტუდენტებთან

მიეძღვნა დიად იუბილეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტების მონაწილეობით გაიმართა დიდი კონცერტი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

კონცერტის დაწყებამდე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს თეატრის კოლექტივის სახელით მიესალმა თეატრის სარეპერტუარო ნაწილის უფროსი ა. შომახია. კონცერტში მონაწილეობდნენ სსრკ სახალხო არტისტი ლ. ჭყონია, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ც. ტატიშვილი, ნ. ანდღულაძე, თ. მუშკუდიანი, დამსახურებული არტისტები თ. გურგენიძე, რ. კაკაბაძე. პროგრამაში იყო დასავლეთ ევროპის, ქართველი და საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, არიები და რომანსები, სცენები ოპერებიდან. კონცერტმაისტერები — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, პროფესორი ც. დუნენკო და გ. მეშველიშვილი.

ნ. სვანიშვილი.

მკითხველები გვწერენ

✦ **ოზნის** რაიონის კულტურის სახლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო რაიონის მხატვრების ნამუშევართა გამოფენა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრების გ. ბერიშვილის, ქ. ჯაფარიძის, ა. შიმშილაშვილის, მ. არჩვაძის, ლ. ბერუჩვეის ფერწერული, გრაფიკული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. მხალველთა ყურადღებას ამსახურებს მაღალი გემოვნებით შესრულებული ეზო ნოდარიშვილის ეროვნული ხასიათის ნაქსოვი ფარდაგები.

ნ. დუშუაშვილი.

✦ **ქუთაისის** მეთვრამეტე საშუალო სკოლამ ახლო ურთიერთობა დაამყარა ტრიკოტაჟის ფაბრიკასთან. მოსწავლეები იყვნენ ფაბრიკაში, დაათვალიერეს იგი. ესაუბრნენ მოწინავე მუშებს და გაეცნენ ტექნოლოგიურ პროცესებს. შემდეგ მოსწავლეებმა ტრიკოტაჟის ფაბრიკის ღვწლმოსილი ადამიანები სკოლაში მიიწვიეს და შეხვედრა მოუწყვეს შრომის ვეტერანებს ნ. ჭილაძეს, ა. ელიგულაშვილს, მოწინავე მუშებს ნ. მიქაუტაძეს, ნ. ყიფიანს.

ქ. ბაზარაძე.

ეკონომია

26 აპრილი

პირველი პროგრამით

10.30 — დოკუმენტური ფილმი „გაფურ გულიამის სახლი“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვისიმის ნაკრძალი“, 17.55 — განცხადებები, 18.00 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა, 18.30 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.45 — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის“ — „გზა სახელოსნოდან დაიწყო“, 19.05 — სპორტული მიმოხილვა, 19.30 — სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი), შესვენების დროს — კინოჟურნალი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — საჭადრაკო მიმოხილვა, 22.35 — მხატვრული ფილმი „მისი ბატონის დრო“ მეორე სერია (ფერადი), 23.35 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.00 — მეცხრეკლასელთათვის — ფიზიკა, 18.45 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ № 2, 18.55 — განცხადებები, 19.00 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 19.45 — მხატვრული ფილმი „ცახა და მიწას შორის“, 21.00 — დოკუმენტური ფილმები „ბეტონის ავტომატური ამრევი“ და „ბეტონის ტუმბოები მშენებლობაში“.

რადიო

27 აპრილი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ვ. ცაგარეიშვილი — კამერული ნაწარმოებები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ტ. ბრეზიკოვი — პირველი სიმფონია, 13.40 — ი. ფრენკელი — სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“ — მ. მრევლიშვილი — „ხარაბაანთ კერა“ (გაგრძელება), 14.20 — ა. დვორჟაკი — მეშვიდე სიმფონია, 15.00 — მ. ლუკონინი — „სიყვარული“ პოემა (მოსკოვიდან), 17.15 — ქართული ხალხური მუსიკა, 17.30 — უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური: „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი), 18.05 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 18.45 — უკრაინის საგუნდო კაპელა „დუმკას“ კონცერტი, 19.00 — „ჰოი, დედანო!“... რადიოკომპოზიცია, 19.20 — მღერის შ. კიკნაძე, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“. თბილისიდან ამიერკავკასის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების რადიომსმენელთათვის, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის — „როცა ახალგაზრდა გზას ირჩევს...“ 21.30 — ს. ნასიძე — პირველი საფორტეპიანო კონცერტი, 21.50 — „ბუნება ჩვენს ირგვლივ“, 23.30 — მსუბუქი მუსიკა.

თეატრი

26 აპრილი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ანტონიუს და კლეოპატრა (პრემიერა); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოში ავი ძალია; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ყარამანს ქალი მოჰყავს; ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — ძალოსნები.

„ბრინჯაოს“ მატჩები...

სხვადასხვა ამოცანით ჩამოვიდნენ თბილისში ჩვენი უძლიერესი გუნდები. ცსკა ჩემპიონის მედლებით „ჯიბეში“. ამიტომ არის, რომ გუნდმა 4 ძირითადი მოთამაშე არ ჩამოიყვანა. არმიელებს სურთ დარჩენილ შეხვედრებში გაძლიერდნენ ახალგაზრდა მოთამაშეები, გზა გაუკაფონ დიდი კალათბურთისაკენ.

„სტროიტელი“ ყველასათვის მოულოდნელად სუსტად გამოვიდა კიევის ტურნირ, სადაც სამი მატჩი წააგო. თბილისში კიეველებს არ ჩამოუყვანიათ მაღალი ტანის ცენტრალური მოთამაშე ვ. ტკაჩენკო, მაგრამ აქ სამივე თამაში მოიგეს და ვერცხლის მედლები მიაქვთ უკრაინის დედაქალაქში. მათ გუნდში მინდა გამოვყო ახალგაზრდა ცენტრი ა. ბელოსტენი (214 სმ). თუ ეგი ასეევე გულმოდგინედ ივარჯიშებს, ჩვენი კალათბურთისათვის კარგი დასაყრდენი გახდება.

„ვერცხლის ლეგიონი“ ჰქონდა მოსკოვის „დინამოსაც“, მაგრამ ახლა იგი მხოლოდ მესამე ადგილისათვის იბრძვის. გუნდმა სძლია „ქალგირისს“, შემდეგ გულდასაწყვეტად წააგო „სტროიტელთან“, ბოლო მატჩში ცსკა-სთან კი ძალზე სუსტად ათამაშა!

შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი ლენინგრადის „სპარტაკი“, რომელშიც არ თამაშობს გუნდის ლიდერი ა. ბელოვი, ახლა უფრო თეორიულ შანსებს ინარჩუნებს საპრიზო ადგილზე გასელისათვის. ლენინგრადელებმა პირველ დღეს დაამარცხეს თბილისელები (ამ მატჩში კარგად ითამაშეს გ. ალექსანდროვმა და ი. პავლოვმა), მაგრამ მომდევნო ორ შეხვედრაში „ქალგირისთან“ და „სტროიტელთან“ დამარცხდნენ.

ჩვენს გუნდში — კიევთან „ქალგირისში“ ახლა თამაშობა ცვლა მიმდინარეობს. კოლექტივიდან წავიდნენ დამოცდილი ოსტატები მ. პაულაუსკასი, რ. ვენჩბერგასი, ა. ფუკაუსკასი. ფინალურ ტურნირში არ გამოდიან გამოცდილი კალათბურთელები ს. პატკაუსკასი და ა. შიდლაუსკასი, ტარავმა მიიღო ნიჭიერმა ვ. მასალსკისმა. ამიტომ, ცხადია, რომ ჩვენ ახლა მოძალულ ჩემპიონატზე უფრო ვფიქრობთ და ბრძოლაში თანდათანობით ახალგაზრდობა შეგვყავს.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს“, წლეულდელმა თქვენმა გუნდმა ჯერ კიდევ ჩემპიონატის წინ ი. გაგარინის მემორიალზე ლენინგრადში მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. თუმცა იქ ნ. დერიუგინი არ თამაშობდა, თბილისელები მეორე ადგილზე გამოვიდნენ და... ფინალურ ექმსეულში კარგ სცალზე სერიოზული გამარჯვება გაიკეთეს.

რა გვიჩვენა პირველმა სამმა ღამემ? არმიელთა ორი დამარცხების შემდეგ ცოტა ვინმეს თუ ეგონა, რომ ისინი ასეთ წინააღმდეგობას გაუწევდნენ შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს მოსკოვის „დინამოს“.

თბილისის „დინამომ“ პირველსავე დღეს ლენინგრადის „სპარტაკთან“ წაგებით გული დაუყვიტა თავის თაყვანისმცემლებს და ძალზე გაირთულა ამოცანა მედლებისათვის ბრძოლაში. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ დაიბნენ და მომდევნო ორ მატჩში ორი ქულა მოაგროვეს. განსაკუთრებით კარგად თამაშობენ ნ. დერიუგინი, მ. ქორქია, თ. ჩიხლაძე.

ამრიგად, ჩემპიონი ვაპოელინდა ჯერ კიდევ კიევში, ვერცხლის მედალოსანი — თბილისი. ამ დღის ბრძოლის შემდეგ, ვის შეხვდება „ბრინჯაო“? ამაზე პასუხს დარჩენილი ორი დღე მოგვცემს. მოსკოვის „დინამოს“ ერთი გამარჯვება სჭირდება, თბილისელ დინამოელებს ორი მოგება და... დედაქალაქელ თანაკლუბელთა ორი დამარცხება!

ს. გუტაუტანი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, კაუნასის „ყალგირისის“ უფროსი მწვრთნელი.

კვირას თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ვაჟთა 44-ე საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ექვსეულის დასკვნითი ტურის კიდევ სამი მატჩი.

აი მათი შედეგები: კიევის „სტროიტელი“ — ლენინგრადის „სპარტაკი“ — 76:68 (39:27), ცსკა — მოსკოვის „დინამო“ — 93:89 (44:42), კაუნასის „ყალგირისი“ — თბილისის „დინამო“ — 90:100 (39:55).

მოგვყავს გუნდების მდგომარეობა 37-37 მატჩის შემდეგ.

	მ.	წ.	ქ.
ცსკა	34	3	34
„სტროიტელი“	26	11	26
„დინამო“ მ.	24	13	24
„დინამო“ თბ.	22	15	22
„სპარტაკი“	21	16	21
„ყალგირისი“	17	20	17

დღეს ერთმანეთს ხვდებიან „ყალგირისი“ — „სტროიტელი“, „სპარტაკი“ — ცსკა, „დინამო“ თბ. — „დინამო“ მ.

პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩი

დავა—თეორიული და პრაქტიკული

მესამე პარტიაში პრეტენდენტებმა გააგრძელეს დავა სიცილიური პარტიის ერთი ფრიად აქტუალური ვარიანტის გარშემო, რომელიც პირველ შეხვედრაში შეგვხვდა. ეტყობა, მეტოქეები და მათი სეკუნდანტები ამ ვარიანტს სხვადასხვანაირად აფასებენ. თეორია სწრაფად ავითარებენ თავიანთ ფიგურებს, ასუსტებენ შავი მეფის საფარს, მაგრამ სამაგიეროდ მეტოქეს ორი კუს უპირატესობას უთმობენ. შავები კარგავენ ცენტრალურ ჯარას, სცდიან ფრინველ თეთრი მხედარი გამაგრდება ხოლმე, მაგრამ დაუბრკოლებლად ასრულებენ ფიგურების განვითარებას და ემზადებიან აქტიური ბრძოლისათვის.

პირველი პარტია, როგორც გახსოვთ, დებიუტის თვალსაზრისით შავებისთვის ხელსაყრელად წარიმართა. მართალია, ამჯერად ძალიან ბალი სხვა პოზიცია წარმოიშვა, მაგრამ ალექსანდრიამ ჩინებული მე-14 სვლით ყველა პრობლემა გადაწყვიტა. შავებმა ისევ მიიღეს პოზიციური უპირატესობა. ჩიბურდანიძეს „ბრისსანე მოიერიშის“ რეპუტაცია აქვს, რასაც, ჩვენის აზრით, სავსებით იმსახურებს, მაგრამ შექმნილ პოზიციაში მას არ შეეძლო აქტიური თამაშები, უპირველეს ყოვლისა, სუსტი ჯარების დაეკეთესთვის უნდა ეზრუნა. პოზიცია კვლავ მეტად დაძაბული იყო, მაგრამ შავები სავსებით ფლობდნენ ინიციატივას.

ალექსანდრია ლაზიერით შეიბრა თეორების ბანაკში და ჩიბურდანიძეს როქის უფლება დაუკარგანი. მაგრამ, შავებმა მუქარა რომ მოეგერიებინა, ნორჩმა პრეტენდენტმა მათ ლაზიერის გაცვლა შესთავაზა. ლაზიერი მთავარი მოიერიშე ფიგურაა და მას მაინ ყოველთვის სინანულით ეშვიდობება ხოლმე. ალექსანდრიას ბრძოლის გაგრძელების ორი გზა ჰქონდა — შეინარჩუნებინა ლაზიერი და გაეცვლებინა იერიშის ცენტრი ან თამაში უკეთეს ენდშპილში გადაეყვანა. ალექსანდრიამ მეორე გზა აირჩია, რაც მას, ჯერ ერთი, უპირატესობას ჰპირდებოდა, და, მეორე, მეტოქეს შემდეგში სავსებით უზღუდავდა ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობას. მას შემდეგ, რაც დაფიდან გაქრა ლაზიერები, ალექსანდრია ეტლით შეიბრა მეტოქის ბანაკში და მოიგო პაიკი.

თამაშის მიწურულში ალექსანდრიამ საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო. მან მეტოქის უკანვე დაუბრუნა ზედმეტი პაიკი, მაგრამ ამასობაში აამოძრავა თავისი გასვლელი პაიკები. ჩიბურდანიძეს მძიმე დაცვის წარმობა მოუხდა. შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა.

აი მესამე პარტიაც.

ჩიბურდანიძე — ალექსანდრია

სიცილიური პარტია

1. e4 c5 2. ∂f3 ∂c6 3. d4 cd 4. ∂:d4 ∂f6 5. ∂c3 e5 6. ∂db5 d6 7. ⚊g5 a6 8. ∂a3 b5 9. ⚊:f6 gf 10. ∂d5 f5 11. ef ⚊:f5 12. c3 ⚊g7 13. ∂c2 0-0 14. ∂ce3 ⚊e4 15. a4 ∂e7 16. f3 ⚊:d5 17. ∂:d5 ∂:d5 18. ♕:d5 b4 19. ⚊d3 bc 20. bc ♖b6 21. ♗b1 ♕e3+ 22. ∂gf1 ♗ac8 23. c4 ♗b8 24. ♕e4 ♕:e4 25. fe ♗:b1 26. ⚊:b1 ♗b8 27. ∂gf2 ♗b2+ 28. ∂gf3 ♗b4 29. ♗d1 ∂gf8 30. ⚊c2 ♗:c4 31. ♗d2 ∂ge7 32. ⚊d1 f5 33. ef e4+ 34. ∂ge2 ♗b4 35. ♗d5 ⚊d4 36. ⚊c2 ⚊c5 37. ♗d1 ∂gf6 38. g4 ∂ge5 39. ♗f1 ♗b2 40. ∂gd1 e3.

ამ პოზიციაში თეორებმა ჩაიწერეს 41-ე სვლა.

გუშინ მეტოქეები ისვენებდნენ. დღეს გაიმართება მორიგი მეოთხე პარტია. ხვალ მეტოქეები დაამავრებენ მესამე გადადებულ პარტიას (ვერის მესამე პარტიის დამთავრება არ შემდგარა ბ. ჩიბურდანიძის ავადმყოფობის გამო). ანგარიშია კვლავ 1,5:0,5 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

გ. გამრეკელი.

ბრინჯაოს ჩემპიონატი

გამარჯვებით დაიწყეს



მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებმა გამარჯვებით დაიწყეს ბრძოლა არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატის წინასწარი ტურნირის მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს ათენში. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:0. ორივე ბერთი თბილისის დინამოელმა რ. შენგელიამ გაიტანა.

ჩვენს ნაკრებს მთელი შეხვედრის განმავლობაში ხელთ ჰქონდა ინიციატივა, კონტროლს უწევდა შუა მოედანს და კარის აღებისათვის ძალიან ბევრი მომენტი ჰქონდა.

სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც ახლა 30 აპრილს ბუდაპეშტში შეხვდება უნგრეთის გუნდს (ასევე შესარჩევ მატჩში), გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: ასტაპოვსკი, ტარუშინი, ხინჩაგაშვილი, ოლშანსკი, ლოგჩევი, კონკოვი, ბურიაკი, მინაევი (მაქსიმენკოვი, 80), ყიფიანი, ფიოდოროვი (ონიშჩენკო, 80), ბლოხინი.

ამ შეხვედრის შემდეგ ევროპის მეცხრე ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	1	1	0	0	2:0	2
უნგრეთი	1	0	1	0	1:1	1
საბერძნეთი	2	0	1	1	1:3	1

წარმატება ათენშიც

საბერძნეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ევროპის ჩემპიონატის წინასწარი ტურნირის მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს ათენში. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:0. ორივე ბერთი თბილისის დინამოელმა რ. შენგელიამ გაიტანა.